

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა რიცხვის პირობებში, მათზე არსებული საჯარო სანქციები ძალზედ უმნიშვნელო და არა რეალური განაკვეთების შეცვლა.

ამავე დროს, წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ისეთ სამართალდარღვევებზე საჯარო სანქციების გამკაცრება და დაზუსტება, როგორცაა დასუფთავების წესების დარღვევა, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა, ქალაქის იერსახის დამახინჯება, ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა ან/და იერსახის შეცვლა შესაბამისი ნებართვის გარეშე, ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან შესაკეთებელ სამუშაოთა ჩატარების დროს, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვა შესაბამისი ნებართვის გარეშე და სხვა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს ისეთ სამართალდარღვევებზე საჯარო სანქციების გამკაცრება და დაზუსტება, როგორცაა დასუფთავების წესების დარღვევა, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა, ქალაქის იერსახის დამახინჯება, ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა ან/და იერსახის შეცვლა შესაბამისი ნებართვის გარეშე, ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან შესაკეთებელ სამუშაოთა ჩატარების დროს, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვა შესაბამისი ნებართვის გარეშე და სხვა.

ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა რიცხვი უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო მათზე დღეს არსებული საჯარო სანქციები ძალზედ უმნიშვნელოა და ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას. ეს უარყოფითად აისახა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების კეთილმოწყობასა და მათ იერსახეზე.

კანონმდებლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც საჯარო სანქციებს განსაზღვრავს ხელფასის სხვადასხვა მინიმალური ოდენობით, არაეფექტურია, ქმნის დისპარმონიას სხვა ნორმებთან და ვერ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს. ამიტომაც უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრდა ტენდენცია რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებები საჯარო სანქციებს განსაზღვრავს ზუსტი ფულადი ოდენობით. საჯარო სანქციების გაზრდა ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამის სამსახურებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით მკაცრდება საჯარო სანქციები და დგინდება მათი ზუსტი განსაზღვრის წესი.

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ 2005 წლის 3 ივნისის შესული ცვლილებებით ყველა სახის რეკლამაზე კონტროლი დაევალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. სამართალდარღვევის ოქმს ადგენდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც დღეისთვის ლიკვიდირებულია. პროექტის პირველი მუხლის მე-9 პუნქტში წარმოდგენილი დამატებით სწორდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილში არსებული მექანიკური შეცდომა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი

თვითმართველობის ორგანოს არაა აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლება.

„ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განისაზღვრა ნებართვების ზუსტი ჩამონათვალი. კანონის ძალაში შესვლას არ მოჰყოლია შესაბამისი ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსში, რამაც გამოიწვია საკანონმდებლო ხარვეზი, კერძოდ უმოქმედოდ დარჩა 150<sup>1</sup> და 152<sup>2</sup> მუხლები, რაც დაუშვებელია, რადგან იერსახის უკანონო ცვლილება და საზოგადოებრივი ადგილების თვითნებური შეზღუდვა უარყოფით ასახავს კპოვებს ქალაქის იერსახეზე. აღნიშნული სფეროების უკონტროლოდ დატოვება დაუშვებელია.

კოდექსის 146<sup>1</sup> მუხლმა გაითვალისწინა საჯარიმო სანქციები, ფოთლების დაწვისთვის. საკითხი დღეისთვის მეტად აქტუალურია, რადგან ფოთლების წვის დროს გამოიყოფა მომწამლავი ნივთიერება დიოქსინი, რაც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. აღნიშნული ქმედების აღსაკვეთად არსებული კანონმდებლობით არავითარი სხვა ბერკეტი არ არსებობს.

კანონპროექტის მიხედვით, ასევე, გამოსწორდება მექნიკური საკანონმდებლო ხარვეზი, რაც დაკავშირებული იყო „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რადგან კანონი რეკლამაზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებას ადგილობრივ თვითმმართველობას ანიჭებდა, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კი არ ითვალისწინებს რეკლამასთან დაკავშირებულ დარღვევებზე (მუხლი 159, 159<sup>1</sup>) ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ოქმის შედგენის უფლებამოსილებას. ცვლილება კი აღნიშნულ შეუსაბამობას აღმოფხვრის და ადგილობრივ თვითმმართველობას რეკლამის კონტროლის რეალურ საშუალებას მისცემს.

ამასთან, კანონპროექტით ცვლილებები შედის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შემდეგ მუხლებში: 135-ე (ადგილობრივი სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურების განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე ან სანებართვო პირობების დარღვევით), 146<sup>1</sup> (დასუფთავების წესების დარღვევა), 149-ე (წყალსადენის ქსელში თვითნებური ჩართვა და სასმელი წყლით სარგებლობის წესების დარღვევები), 150-ე (იერსახის დამახინჯება), 150<sup>1</sup> (ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციონალური წყობის ანდა იერსახის თვითნებური შეცვლა), 152-ე (ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას), 152<sup>2</sup> (საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა). აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის იზრდება ჯარიმების ოდენობა.

ამავე დროს, კანონპროექტით წარმოდგენილ კოდექსის 146<sup>1</sup>, 149-ე, 150<sup>1</sup>, 152-ე, 152<sup>2</sup> მუხლებში ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დგინდება ჯარიმების განსხვავებული ოდენობები.

კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 150-ე მუხლი ყალიბდება ახლებური რედაქციით, რომელიც დღეს მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით ითვალისწინებს სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულებისთვის შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხელნარგავებზე, ასევე გზის საფარზე, ასევე ბანერების განთავსება ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - ჯარიმას. ხოლო კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობის ან/და იერსახის თვითნებური შეცვლისთვის, ასევე მათ შორის შენობა-ნაგებობების ფერის შეცვლისთვის ან ამ სამ შაოთა შესრულებისთვის.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**  
წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯებს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**  
კანონის პროექტის მიღება გაზრდილი სანქციების პირობებში შესაძლოა დადებითი გავლენა იქონიოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, ჯარიმების

გაზრდილი ოდენობების პირობებში მან შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა, თუმცა ზრდის პარამეტრების დადგენა ამ მომენტისათვის შეუძლებელია.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**  
კანონის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**  
კანონის პროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული იქნება ფინანსური ცვლილებები იმ პირობით, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება. კერძოდ, იმ პირებს, რომლებიც ჩაიდენენ წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ დღეს მოქმედი რედაქციისაგან შედარებით გაზრდილი ოდენობით.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**  
კანონპროექტით დადგენილია ჯარიმების გაზრდილი ოდენობები რიგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის. აღნიშნული გარემოების განმაპირობებელია ის ფაქტორი, რომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ დღეს მოქმედი რედაქციით დადგენილი ჯარიმებია არაეფექტურია და არასაკმარისია შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციისათვის და ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ხარისხს და სიმძიმეს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**  
კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**  
კანონის პროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**  
კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**  
კანონის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით არ გამართულა სამუშაო შეხვედრები.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**  
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**  
კანონის პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**  
კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.